სამეცნიერო კონფერენცია „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“

2018 წლის 17 დეკემბერს 14 საათზე სტუ–ს ი. ნიკოლაძის სახელობის დარბაზში ჩატარდება სამეცნიერო კონფერენცია „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“.

კონფერენცია ეძღვნება საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ხელოვნებათმცოდნობის დოქტორის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგის, პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის, თბილისის საპატიო მოქალაქის, მეორე მსოფლიო ომის გმირის ირაკლი ციციშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველთა საყურადრებოდ!

სამუშაო გეგმა

კონფერენცია ერთ დღეს გასტანს. მოსმენილი იქნება დარგის სპეციალისტების გამოსვლები. მომხსენებლები გააშუქებენ არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის აქტუალურ საკითხებს. წამოჭრიან პრობლემებს და შემოგვთავაზებენ მათი გადაწყვეტის გზებს.

კონფერენციის პირველ ნაწილი დაეთმობა ბატონ ირაკლი ციციშვილის მოგონებას. ხოლო მეორე ნაწილში გაიმართება სამცნიერო მოხსენებების მოსმენა. თვითოეულ მომხსენებელს დაეთმობა 15 წუთი.

კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი მასალა შეესაბამება კონფერენციის მიზანს და გაფორმებული იქნება შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად:

მოთხოვნები სტატიის გაფორმების მიმართ.

- ენა – ქართული, ინგლისური
- მოხსენების ტექსტის ფაილი – MSWord (doc);
- გვერდის ფორმატი – A4;
- ქართული შრიფტი – Sylfaen
- ინგლისური შრიფტი –Times New Roman
- შრიფტის ზომა – 12
- სტროფებს შორის ინტერვალი – 1.5
- ტექსტის მინდორი – 30 მმ (მარცხნივ), 25 მმ (მარჯვნივ), 25 მმ (ზევით), 25 მმ (ქვევით)
- ტექსტის საერთო მოცულობა – არანაკლებ 5 გვერდი.

სტატიის სტრუქტურა

- სტატიის სათაური – შრიფტი Sylfaen, ზომა – 14 პუნქტი, მუქი, მოხაზულობა – ჩვეულებრივი.
- სტატიის ავტორი, ავტორები (სამეცნიერო ან აკადემიური ხარსხი, სამუშაო ადგილი) – ავტორები მიეთითება მისი ინიციალისა და გვარის მიხედვით. შრიფტი Sylfaen, ზომა – 10. ჩვეულებრივი მოხაზულობა – დახრილი, ინტერვალი – 1
- მისამართ, ელ–ფოსტა – შრიფტი Sylfaen, ზომა – 10. ჩვეულებრივი მოხაზულობა – დახრილი, ინტერვალი – 1
- საკვანძო სიტყვები – 5–7 სიტყვა, შრიფტი Sylfaen, ზომა – 10. ჩვეულებრივი მოხაზულობა – დახრილი, ინტერვალი – 1
- ძირითადი ტექსტი – შრიფტი Sylfaen, ზომა – 12. ინტერვალი – 1.5
- გამოყენებული ლიტერატურა – შრიფტი Sylfaen, ზომა – 10. ინტერვალი – 1
- ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე – მოცულობა 100–150 სიტყვა, ქართული შრიფტი Sylfaen, ზომა – 10. ინტერვალი – 1; ინგლისური შრიფტი Times New Roman, ზომა – 10. ინტერვალი – 1.

მოხსენებები უნდა გამოაგზავნოთ ელექტრონულად 2018 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით საორგანიზაციო კომიტეტში შემდეგ მისამართზე: gia_natsvlishvili@yahoo.com

საორგანიზაციო კომიტეტი გისურვებთ წარმატებებს!